პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 25 (6586)

5

1980 წ. თებერვალი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ ᲛᲐᲡᲠᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ

რიგა, 4 თებერვალი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა ჩემპიონატში, რომელიც აქ მიმდინარეობს, გაიმართა VIII ტური და გადადებული პარტიების დამთავრება.

მხოლოდ 20-სვლა იყო გაკეთებული მ. ჩიბურდანიძე — ზ. აზმაიფარაშვილის შეხვედრაში, როცა მეტოქენი დაზავდნენ.

ა. ხარიტონოვმა (გორკი) მოუგო ბ. გავრილოვს (მოლდავეთი), ლ. იურტაევმა (ფრუნზე) — ზ. ეინგორნს, ზ. ლანკამ (ორიეე — ლატვია) — ლ. ფსახისს (კრასნოიარსკი) და ე. კენგისმა (რიგა) — ე. მაგერამოვს (ბაქო).

მეორე დღეს გადადებული პარტიების დამთავრებისას ჩიბურდანიძემ დაამარცხა გ. ზაიჩიკი (თბილისი), ა. ივანოვმა (ლენინგრადი) — ს. ლპუტიანი (ერევანი), ი. პოლოვოდინმა (ლენინგრადი) — ე. ვლადიმიროვი (ალმა-ათა), ვ. ჩეხოვმა (მოსკოვი) — პოლოვოდინი და ვლადიმიროვმა — ივანოვი.

8 ტურის შემდეგ ე. კენგისს 6 ქულა აქვს, ე. ვლადიმიროვს — 5,5, ზ. აზმაიფარაშვილს — 5, ვ. ჩეხოვს, ა. ხარიტონოვს, ზ. ეინგორნს — 4,5-4,5.

მ. ჩიბურდანიძეს 2,5 ქულა აქვს, გ. ზაიჩიკს — 1,5 ქულა და ერთი (ლპუტიანთან) მოსაგებ პოზიციაში გადადებული პარტია.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲚᲚᲔᲖᲔᲐ

ბად-კისინგენში (გფრ) მიმდინარე ოთხი დიდოსტატის მატჩ-ტურნირში დამთავრდა პირველი წრე.

II ტურის გადადებულ პარტიებში ა. კარპოვმა (სსრ კავშირი) სძლია ვ. უნციკერს (გფრ), ბ. სპასკი (სსრ კავშირი) დაუზავდა რ. ჰიუბნერს (გფრ). III ტურში სპასკი ყაიმს დასჯერდა უნციკერთან შეხვედრაში, კარპოვმა კი სძლია ჰიუბნერს.

ოთხი დიდოსტატის შეჯიბრების მეორე წრის პირველ ტურში მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ბ. სპასკისთან. ახლა ორი უკანასკნელი ტურის წინ მსოფლიო ჩემპიონს 3 ქულა აქვს. სპასკისა და რ. ჰიუბნერს — 2-2, ხოლო ვ. უნციკერს (გფრ) — 1. IV ტურში ჰიუბნერმა და უნციკერმა ყაიმით დაამთავრეს შეხვედრა ერთმანეთს შორის.

● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲐᲢᲩᲘ

ბუენოს-აირესი, 4 თებერვალი (საკუთარი კორ.). თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა მეორე ამხანაგური მატჩი გამართეს არგენტინაში და წააგეს „ველეტ სარსფილდის“ გუნდთან — 0:1. ბურთი მე-14 წუთზე გაიტანა სკილინომ.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გოგია, სულაქველიძე, ქორიძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, მინაშვილი, მაჩაიძე, კოპალეიშვილი, ჩელებაძე, თავაძე და შენგელია.



● ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ

ᲞᲣᲚᲙᲝᲕᲝᲡ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲖᲔ

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ სტადიონის მწვანე მინდორს თოვლის სქელი საფარველი გადაჰკვრია. გამჭვირვალე პლასტმასის ფილებგადაფარებული ტრიბუნებიდან არ ისმის ფეხზე წამოშლილ გულშემატკივართა ომახიანი ყიჟინა. აქაურ სიმყუდროვეს მხოლოდ თოვლის ფანტელები „არღვევენ“. მაგრამ ბუნების ეს „თეთრი ოლიმპიადა“ მალე დამთავრდება და ფეხბურთის მოყვნის „სტატუს-კვო“ დაუბრკოლებლივ იქნება აღდგენილი.

ზაფხულის ოლიმპიური ოლიმაშების დაწყებამდე დარჩენილი რამდენიმე თვე მკაცრ არგალიშზეა აყვანილი. ეს პუნებრივია, ვინაიდან ოლიმპიური თამაშები პირველად ტარდება სოციალისტურ ქვეყანაში და, ამდენად, უაღრესად ტენდენციური საზღვარგარეთის პრესა მოჭარბებულ ინტერესს იჩენს ამ შეჯიბრების ორგანიზაციისადმი.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან დღეისთვის ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად თითქმის ყველაფერი მზადაა, და თუ სადმე რაიმე კიდევ დარჩა გასაკეთებელი, ეს იმიტომ, რომ მათი ჩატარება სპეციფიურობის გამო ზამთარში უბრალოდ შეუძლებელია.

ოლიმპიური პროგრამის თანახმად, ფეხბურთელთა ასპარეზობა ლენინგრადში უნდა ჩატარდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ნევისპირა ქალაქს ეტუმრება სპორტსმენების, ჟურნალისტების და სპეციალისტების დიდი არმია. ამ რაოდენობის სტუმრებისთვის კი, როგორც მოგეხსენებათ, „სუფრის გაშლა“ იოლი საქმე როდია.

როგორც კი ცნობილი გახდა, რომ ოლიმპიური თამაშების მონაწილე ფეხბურთელები ლენინგრადში იასპარეზებდნენ, ქალაქის მესვეურები დაუყოვნებლივ შეუდგნენ ისეთი სასტუმროს აშენებას, რომელიც ყველა ჩამოსულს დაიტევდა. სამშენებლო სამუშაოები დამკვრელური ტემპით წარიმართა და გრაფიკით იგი მიმდინარე წლის მარტის თვეში უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მშენებლებმა და მემონტაჟეებმა დეკემბერში მოაქუჩეს თავიანთი იარაღები, ერთმანეთს მოულოცეს სასტუმროს მშენებლობის ვადაზე ადრე დამთავრება, სხვებისგანაც მიიღეს მილოცვები და წავიდნენ. ასე მიემატა ქალაქ ლენინგრადის უნიკალურ ნაგებობათა რიცხვს სასტუმრო „პრიბალტიისკაია“.

რაც შეეხება სპორტულ სარბიელს, აქ მთავარი მასპინძელი კიროვის. სახელობის სტადიონი იქნება. სტადიონის რეკონსტრუქცია თითქმის დამთავრდა, მაგრამ მოწინავე მშენებელთა პორტრეტებით დამშვენებული საპატიო დაფა ჯერ კიდევ არ მოუხსნიათ გასახდელის თეთრად შეფეთქილი კედლიდან. ერთ-ერთ მათგანს. მე-17 საამშენებლო უბნის მომპირკეთებელს **ვ. ზვიაგინცევს** ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვით მოეთხრო ჩვენი მკითხველებისთვის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ:

— ჩემი მისია ამ მშენებლობაზე ორმაგია, — გვითხრა ვლადიმერმა, — გულდადებით ვმუშაობ როგორც მშენებელი და როგორც თავგამოდებული გულშემატკივარი. ჩემს ნახელავში იმ სიმხნევეს ვაქსოვ, რომელმაც გამარჯვებისკენ უნდა უბიძგოს ჩვენს ბიჭებს...

ისე კი ბევრი საინტერესო რამ მოგვითხრო ზვიაგინცევმა: სტადიონმა, შეიძლება ითქვას, მთლიანად იცვალა სახე. მაყურებელთა ტრიბუნები გაფართოვდა ახალი იარუსების ამოშენების ხარჯზე. დაიდგა მაღალი ანძა პროჟექტორებისთვის, ახალი ელექტროტაბლო, რომელიც უნგრეთის ფირმა „ელექტროიმპექსმა“ დაამონტაჟა. ფირმის ნახელავმა წარმატებით ჩააბარა გამოცდები მეხიკოში, მიუნჰენში, გრენობლსა და ინსბრუკში.

ლენინგრადის სტუმარ სპორტსმენთა განკარგულებაში იქნება აგრეთვე პეტროვსკის კუნძულზე მდებარე ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონი, სადაც ძირითადად გაიმართება ფეხბურთელთა საწვრთნელი ვარჯიშები. ისე კი, სტადიონის ყველა პარამეტრი მთლიანად უპასუხებს მსოფლიო სტანდარტებს.

ოლიმპიაში უკვე აინთო ჩირაღდანი, რომელიც ხელიღან ხელში გადაეცემა, ცხრა ზღვაა და მთას გადაივლის, ვიდრე მიმდინარე ოლიმპიადის ცენტრში — მოსკოვში აკიაფდებოდეს. იმავე დღეს გაიმართება ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული საფეხბურთო მატჩი ლენინგრადის კიროვის სახელობის სტადიონზე.

ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲚᲐᲜᲘᲐ,
(ჩვენი სპეც. კორ.).
ლენინგრადი.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: **სასტუმრო „პრიბალტიისკაია“; ლენინგრადის ოლიმპიური სტადიონი.**

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ 166 ᲓᲦᲔ

ᲡᲝᲙ-ᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲓᲣᲑᲚᲘᲜᲘ. აქ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლორდ კილანინმა განაცხადა, რომ XXII ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება მოსკოვს მიენიჭა ჯერ კიდევ 1974 წელს და ოლიმპიური რეგლამენტის თანახმად ასპარეზობა უნდა გაიმართოს 1980 წელს სწორედ ამ ქალაქში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოლიმპიური თამაშების ერთადერთი გამგებელია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და არა რომელიმე სამთავრობო ორგანიზაცია. განმარტა რა ეს, მან აღნიშნა, რომ „ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობენ სპორტსმენები და არა სახელმწიფოები, ამდენად ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა უნდა შეინარჩუნონ თავიანთი ავტონომია და შესაძლებლობა წინ აღუდგნენ რაიმე დაწოლას“.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ოლიმპიადისთვის მზადების მიმდინარეობაზე ილაპარაკა პარიზში გამართულ პრეს-კონფერენციაზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცეპრეზიდენტმა, „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. გ. სმირნოვმა. მან აღნიშნა, რომ დასასრულს უახლოვდება 78 სპორტული ობიექტის, პრეს-ცენტრის, ახალი საერთაშორისო აეროვაგზლის „შერემეტიევო-2“-ის მშენებლობა. ევროპაში უდიდესი სატელეფონო სადგურის საშუალებით შესაძლებელი იქნება ნებისმიერ ქვეყანასთან სწრაფი დაკავშირება. ახალი სატელევიზიო ცენტრი სპორტულ შეჯიბრებას გადასცემს 20 ფერადი სატელევიზიო არხის საშუალებით.

ოლიმპიური თამაშების ბოიკოტის შესახებ აშშ-ის ადმინისტრაციის მოწოდებასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე ვ. გ. სმირნოვმა უპასუხა: „მე იმედს ვამყარებ ამერიკის ათლეტთა საო აზროვნებაზე. სპორტსმენი უნდა იყო, რომ გაიგო თუ როგორი სიძნელეებია გადასალახავი ოლიმპიურ თამაშებში, უფრო ხშირად ცხოვრებაში ერთხელ, მონაწილეობისთვის“. მან აშშ-ის გუნდზე დაწოლა შეაფასა, როგორც სპორტის საქმეში უხერხული ჩარევა. „ასეთ პირობებს,—ხაზგასმით აღნიშნა სმირნოვმა, — არაფერი აქვთ საერთო ოლიმპიური მოძრაობის პრინციპებთან, რომელიც კრძალავს ყოველგვარ პოლიტიკურ ჩარევას. ისინი, ვინც ბოიკოტისკენ მოუწოდებენ, ეწინააღმდეგებიან ოლიმპიურ ქარტიას, რომლის თანახმადაც მხოლოდ სოკ-ს აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება ოლიმპიადის ჩატარების შესახებ“.

აშშ-ის მიერ გაჩაღებული კამპანია, თქვა სმირნოვმა, ეხება არა მარტო მოსკოვის ოლიმპიადას, არამედ მთელი ოლიმპიური მოძრაობის ბედს. 1980 წლის ზაფხულის ოლიმპიურმა თამაშებმა უნდა გასცეს პასუხი კითხვას: საით მიდის ოლიმპიური მოძრაობა? განმტკიცდება და განვითარდება იგი თუ დაკარგავს თავის პრესტიჟს? (საკ.ესი).

ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲑᲝᲜᲜᲘ. დასავლეთ ევროპის 10 ქვეყნის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა მხარი დაუჭირეს მოსკოვის ოლიმპიადაში თავიანთი გუნდების მონაწილეობას, ეს აღინიშნა მაინის ფრანკფურტში გამართულ გფრ-ის, იტალიის, ბელგიის, ნორვეგიის, ლუქსემბურგის, ჰოლანდიის, ინგლისის, შვეიცარიის, ესპანეთისა და დანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენელთა თათბირზე მიღებულ კომუნიკეში. მხოლოდ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები გადაწყვეტენ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში თავიანთი სპორტსმენების მონაწილეობის საკითხს, მითითებულია გფრ-ისა და იტალიის წარმომადგენელთა თაოსნობით მოწვეული თათბირის კომუნიკეში.

8 დღის შემდეგ ლეიკ-პლესიდში (აშშ) დაიწყება ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშები

● თხილამურები

ნაკრები დაკომპლექტდა

საბჭოთა მოთხილამურეებმა კრასნოგორსკში გამართეს ოლიმპიადისწინა ბოლო შესარჩევი შეჯიბრება. საკავშირო თასის გათამაშებაში თითქმის ყველა უძლიერესი მონაწილეობდა. ქალთა შორის, როგორც 5, ისე 10 კილომეტრზე რბენა მოიგო რ. სმეტანინამ (სოფლის სპორტსაზოგადოებების ნაკრები). მან შესაბამისად 15.34,22 და 30.12,53 აჩვენა. 5 კილომეტრზე ასპარეზობაში მომდევნო ადგილები ერგოთ დინამოელ ნ. როჩევასა (15.43,99) და ნ. ბალდიჩევას („ტრუდი“) — 15.45,95, ხოლო 10 კილომეტრზე II და III ადგილებზე გავიდნენ ი. სუსლოვა — 30.30,02 და გ. კულიკოვა (ორივე — „ტრუდი“) — 30.42.12.

ქალთა შორის ლეიკ-პლესიდის საგზურები მიიღეს სმეტანინამ, გ. კულაკოვამ, ი. სუსლოვამ, ნ. როჩევამ, ნ. ბალდიჩევამ და სვერდლოვსკელმა ლ. ზიკოვამ.

აქვე კაცები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 15 და 50 კილომეტრზე. ნ. ბაეუკოვმა (შეიარაღებული ძალები) პირველ დღეს იმარჯვა — 40.15,21. ხოლო მეორე დღეს II ადგილი დაიკავა — 2:22.11,02. [illegible] გარდა ნაკრებში

შეკრიბნენ ა. ჩაიკო („ტრუდი“) და დინამოელი ვ. როჩევი, რომლებსაც 15 კილომეტრზე II და III ადგილები ერგოთ (მას. გარდა როჩევი უძლიერესი იყო 50 კილომეტრზე). ნ. ზიმიატოვი („სპარტაკი“). ოლიმპიური ჩემპიონი ს. საველიევი. ლენინგრადელი ე. ბელიაევი და ა. ზავიალოვი (მოსკოვის ოლქი).

სურათზე: რ. სმეტანინა.

● ციგაობა

თ. ქუმარიტაშვილი მეორეა

სვერდლოვსკიდან ტელეფონით გვაცნობეს, რომ აქ გაიმართა ციგაობაში საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრები. ეს იყო ოლიმპიური თამაშების წინ ძალების ბოლო შემოწმება. ქალთა შორის 802-მეტრიან ტრასაზე (11 ვირაჟით) უმეღავთო ბრძოლაში ამივე საპრიზო ადგილი რიგელებმა დაიკავეს. ყველას აჯობა ი. ამანტოვამ, რომელმაც 3 დაშვების ჯამში 1.42,418 დახარჯა. II პრიზიორის ა. რიბენაა შედეგია 1.42,657, III ადგილზე გავიდა ვ. ზოზულია — 1.43,662.

ვაჟებისთვის ტრასის სიგრძე 1007 მეტრი იყო (14 ვირაჟი). 4-დან 3 საუკეთესო დაშვების ჯამში აქაც რიგელმა სპორტსმენმა იმარჯვა. ი. ეისაკმა აჩვენა 2.15,257. ჩემპიონატში კარგად გამოდის ბაკურიანელი თ. ქუმარიტაშვილი. მან ამ ასპარეზობაში ჩამოიტოვა ძლიერი მეტოქე ს. პლიასუნოვი (ზლატოუსტი) და II ადგილი დაიკავა — 2.16,874.

ორი ტურის შემდეგ ქუმარიტაშვილი II ადგილა ინარჩუნებს — 4 ქულით ასწრებს რიგელ დ. ბრიომზეს. წინ არის ეისაკსი. მას 92 ქულა აქვს. ქალთა შორის ასევე ორი ტურის ბოლოს რიბენაა და ამანტოვას 109-109 ქულა დაუგროვდათ. ხოლო მოსკოველ ა. მაევსკაიასა და ზოზულიას — 74-74.

ორადგილიანი ციგებით მეორე ტურის შეჯიბრება მოიგო რიგის დუეტმა (ბრიომზე — ა. კრიკისი) — 1.08,52 (ორი დაშვების ჯამში). ისინი მტკიცედ ინარჩუნებენ ლიდერობას ორი ეტაპის ჯამშიც — 109 ქულა.

როცა საფრანგეთის სამთო კურორტ გრენობლში X „თეთრი თამაშების“ მონაწილენი ბრძოლებს იწყებდნენ, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ყველა სსრ კავშირის ნაკრების მორიგ ტრიუმფს ვარაუდობდა. დანარჩენი ფავორიტი ქვეყნების წარმომადგენლები საუკეთესო შემთხვევაში II ადგილის პრეტენზიას თუ აცხადებდნენ. მათ ამის საფუძველი ჰქონდათ: საბჭოთა სპორტსმენებმა ზამთრის სარბიელზე გამოსვლისთანავე ხელი იგდეს ლიდერობა და იგი 1952 წლიდან აღარ დაუთმიათ.

მაგრამ 1968 წელმა ყველა პროგნოზი გაამტყუნა. გრენობლის თოვლიანი ბილიკები ნორვეგიელებისთვის ყველაზე იღბლიანი გამოდგა — ამ შეჯიბრებაში მათ 6 ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. საბოლოო ჯამში 103 ქულა მოაგროვეს და 16-წლიანი შესვენების შემდეგ ოლიმპიადების ისტორიაში მეხუთედ მოიგეს არაოფიციალური გუნდური ჩათვლა.

ისინი განსაკუთრებით ზეიმობდნენ იმას, რომ საქვეყნოდ აღიარებული საბჭოთა ნაკრების დამარცხება შეძლეს — 11 ქულით ჩამოიტოვეს მთავარი მეტოქე. მედლების საერთო ჯამში საბჭოთა ათლეტები ნორვეგიელებს მხოლოდ ერთით ჩამორჩნენ, მაგრამ მაინც იძულებულნი გახდნენ II ადგილს დასჯერებოდნენ.

ჩვენი დელეგაციის წარუმატებლობა ფაქტიურად სათხილამურო რბენებში ჩავარდნამ განაპირობა, თუმცა არც მოკიგურავეებს გამოუჩენიათ თავი. თუ ინსბრუკში თხილამურებით რბოლაში ჩვენებმა 3 „ოქრო“ დაისაკუთრეს და სხვა ღირსების კიდევ ხუთი მედალი მოიგეს, გრენობლში რბოლებში სულ ოთხი მედალი მიიღეს (მათგან ერთიც არ იყო უმაღლესი ხარისხისა).

მოულოდნელი იყო საბჭოთა მოთხილამურე ქალების, განსაკუთრებით მათი ახალგაზრდა ლიდერის გ. კულაკოვას მარცხი. ოლიმპიადამდე მან მსოფლიო ჩემპიონატებში არაერთი წარმატება მოიპოვა, მაგრამ საფრანგეთის მთებში მხოლოდ „ვერცხლითა“ (5 კმ რბენაში — 16.48,4) და „ბრინჯაოთი“ (3X5 კმ ესტაფეტაში) დაკმაყოფილდა. 10 კილომეტრზე შეჯიბრებაში კულაკოვა VI ადგილზე გავიდა.

1968 წლის ოლიმპიურ თამაშეებზე (იგი 6-18 თებერვალს ჩატარდა) კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ა. კოლჩინამ (5 კილომეტრზე), რომელიც რ. აჩკინასა და კულაკოვასთან ერთად III იყო ესტაფეტაში.

ჩვენმა მოთხილამურეებმა მდგომარეობა ერთგვარად გამოასწორეს ბოლო დღეებში, როცა ბიატლონისტებმა (ა. ტიხონოვი, ნ. პუზანოვი, ვ. მამატოვი, ვ. გუნდარცევი) ესტაფეტაში „ოქრო“ მოიგეს — 2:13.02,4, ხოლო თამაშების დახურვამდე ერთი დღით ადრე 90-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში ვ. ბელოუსოვმა იმარჯვა. ეს იყო პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ოლიმპიადა, რომელშიც ჩვენმა „მფრინავმა მოთხილამურემ“ ოქროს მედალი მიიღო.

საბჭოთა სპორტსმენებმა დანარჩენი 3 „ოქრო“ სამ, სრულიად სხვადასხვა, სახეობაში მოიპოვეს. თავდაპირველად ჩემპიონობის ანგარიში გახსნა ლ. ტიტოვამ ციგურებით 500 მეტრზე ყველაზე სწრაფად (46,1 წამში) გაირბინა (შემდეგ იგი II ადგილზე გავიდა 1000 მეტრზე ასპარეზობაში — 1.32,9. აქ მას სულ რაღაც 0,3 წამით აჯობა ჰოლანდიელმა გეისენმა).

ფიგურულ სრიალში თავიდანვე 2 საბჭოთა დუეტი ლ. ბელოუსოვა — ო. პროტოპოპოვი და ტ. ჟუკი — ა. გორელიკი დაწინაურდნენ. საბოლოოდ ბელოუსოვა — პროტოპოპოვის წყვილმა 315,2 ქულით გაიმარჯვა.

საბჭოთა სპორტსმენები ზამთრის ოლიმპიადებზე

პროგნოზის მიუხედავად...

ბოლო „ოქრო“ ჰოკეისტთა წილად მოდის. მათ შვიდიდან ექვსი შეხვედრა მოიგეს — სძლიეს ფინეთს — 8:0, გდრ-ს — 9:0, აშშ-ს — 10:2, გფრ-ს — 9:1, შვეიცას — 3:2, კანადას — 5:0 და მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან დამარცხდნენ დაძაბულ ბრძოლაში — 4:5. მაგრამ პირველობა ხელიდან არ გაუშვიათ.

ცნობილია მასპინძელთათვის „საკუთარი კედლების“ როლი, მაგრამ ფრანგებისთვის ამ ფაქტორმა მხოლოდ სამთომოთხილამურეთა შეჯიბრებაში იმოქმედა. ვაჟთა შორის სამივე დისტანციაზე უძლიერესი იყო ჟან კლოდ-კილი. სწრაფდაშვების 2890-მეტრიანი ტრასა მან 1.59,85-ში დაფარა, 1800-მეტრიანი გიგანტური სლალომის ტრასის ორი ცდით გავლას 3.29,28 მოანდომა, სპეციალურ სლალომში (450 მ) კი ორი ცდის ჯამში 1.39,73 დახარჯა. კიდევ ერთი ოქრო ერგო მ. გოიჩელს, რომელიც ქალთა შორის სლალომში იყო უძლიერესი.

გთავაზობთ გრენობლის თამაშებში 10 საუკეთესო ქვეყნის სპორტსმენთა მაჩვენებლების ცხრილს

	ო.	ვ.	ბ.	ქ.
ნორვეგია	6	6	2	103
სსრ კავშირი	5	5	3	92
ავსტრია	3	4	4	79
შვეიცია	3	2	3	63,5
საფრანგეთი	4	3	2	62
ნიდერლანდები	3	3	3	53,5
ფინეთი	1	2	2	51,5
აშშ	1	5	1	47.5
გფრ	2	2	3	43
იტალია	4	—	—	35

შენიშვნა: ო. — „ოქრო“, ვ. — „ვერცხლი“, ბ. — „ბრინჯაო“. ქ. — ქულები.

● ● ●

სურათზე: ვ. ბელოუსოვი.

სიურპრიზს ამზადებენ

როგორ ფასობს წამის მეათასედი თანამედროვე ბობსლეიში? 500000 მარკას! ზუსტად ამდენი ჯდება გფრ-ის ოლიმპიური გუნდისთვის ერთი ოპერობის დამზადება, რომ ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა ლეიკ-პლესიდში წარმატებას მიაღწიონ. დასავლეთ გერმანიის ბობსლეისტებს ფედერაცია ამ „საიდუმლო“ იარაღს ჯერჯერობით არ აჩვენებს და არც ცდილობა მის გამოყენებაა. ტურნირებში კი მოძველებული მოდელებით, ქვეყნის ნაკრების მესამე და მეოთხე ეკიპაჟებით გამოდიან.

თანამედროვე ბობსლეიში მეტად ძვირად ფასობს წამები. შედარებისთვის — გფრ-ის მოციგავეები წინაოლიმპიურ თამაშებში საქვეყნოდ ცნობილი მესერშმიტ-ბელკოვის საავიაციო აეროდინამიკურ ტანჭანებზე გამოდიოდნენ. თითო მათგანი 300000 მარკა ჯდებოდა, ამჯერად კი გამარჯვებისთვის ნახევარ მილიონს ხარჯავენ.

პრესიდან ცნობილი ხდება, რომ ამ სუპერობობების მსგავსი აქამდე არაფერი აგებულა. „მსოფლიო ჩემპიონის, გფრ-ის გუნდის ლიდერის გეისრაიტერისა და ფედერალური მწვრთნელის ვ. ციმერმანის თანამონაწილეობით აიგო იარაღი, რომელიც სპორტის ამ სახეობაში შესაძლებლობის ზღვარს მიაღწევს“.

მყვირალა სათაურები გვამცნობენ, რომ სუპერობობები სპეციალურადაა კონსტრუირებული ზამთრის წლევანდელი ოლიმპიური თამაშებისთვის, ისინი შექმნილია, იმავე პრინციპით, რა მეთოდითაც ახლა აგებენ პირველი ფორმულის სარბოლ ავტომობილებს — მასტაბილიზებელი დაბოლოებით. ტანჭანის უკანა ნაწილში მოთავსებული დანადგარი ჰაერს ისე წარმართავს, რომ იგი ზრდის უკანა თვლების მიწასთან მოჭიდებას.

ახალი ბობის სახურავი უკიდურესად ამრეკნია. მაგრამ ყველაზე მთავარია მასტაბილიზებელი დანადგარი, რომელიც ამავე დროს გასაბერიცაა. პილოტის განკარგულებით რეზერვუარიდან შეკუმშული ჰაერი საჰაერო ტომარაში მიედინება. ეს უკანასკნელი ბობსლეის იაეთივე სამსახურს უწევს, როგორაც ავტომობილა. აი, რას ამბობს ამაზე გეისრაიტერი: „სუპერობი ტრასას ათეული წამით სწრაფად გადის, ვიდრე ყველა წინანდელი კონსტრუქციისა“.

ამ „სასწაულ ციგას“ სპორტული საზოგადოებრიობა იხილავს მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ზამთრის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ზუსტად ორი კვირით ადრე შვეიცარიის ქალაქ სანტ-მორიცში გაიმართება. მაგრამ სპეციალისტებს დაებადათ კითხვა: შეძლებს თუ არა ახალი მანქანა ტექნიკურად ეიფორის თანხმობის მიღებას, ხომ არ მიიჩნევენ ექსპერტები, რომ საჰაერო რეზერვუარში შეკუმშული ჰაერის მიწოდება დამატებითი ძრავია, რაც წესებით აკრძალულია?

საკმარისია მოვიგონოთ, რომ 4 წლის უკან გფრ-ის მოციგავეებმა ინსბრუკშიც ჩამოიტანეს უახლესი ტექნიკა — კვერცხისმაგვარი ჩაფხუტები. საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ იქნებ ამიტომაც მიიღო გადაწყვეტილება ტექნიკურ გაუმჯობესებათა შეზღუდვის შესახებ, რომ ასეთი გამოგონებანი და, ისიც სწორედ თამაშების დაწყებამდე, სულ მცირე ხნით ადრე, ერთ გუნდს მეორეზე საგრძნობ უპირატესობას აძლევს. უნდა დავეთანხმოთ მათ, ვინც მოითხოვს, რომ სპორტული იარაღი გადამწყვეტ სტარტებამდე კარგა ხნით ადრე უნდა გახდეს ცნობილი. ოლიმპიური თამაშები ხომ ადამიანების შეჯიბრებაა და არა ტექნიკისა.

გფრ-ის ბობსლეისტები, რომლებიც თავიანთ სუპერობობებს ოლიმპიადამდე ორი კვირით ადრე გამოიტანენ საჯაროობაზე, ვარაუდობენ, რომ მათი აღმოჩენის გამეორებას ამ მოკლე დროში ვერავინ შეძლებს. (აკადესი).



ნ. ხოდელის ნახატები.

● სამთო სათხილამურო სპორტი

ბოლო რეპეტიცია

საფრანგეთის სამთო კურორტებზე **სან-ჟერვეში** და **შამონში** გაიმართა სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასების გათამაშების ოლიმპიადისწინა სტარტები. ბევრი ამ შეჯიბრებაზე ამყარებდა იმედს თავიანთი ქვეყნის ნაკრებში მოსახვედრად.

ქალებმა სლალომსა და გიგანტურ სლალომში იასპარეზეს. ვაჟებმა — მხოლოდ სპეციალურ სლალომში.

ქალთა შეჯიბრება სლალომში მოიგო ჰ. პელენმა (საფრანგეთი) — 1.21,46. მსოფლიო თასის მრავალგზის მფლობელი ა. მოზერ-პრიოლი (ავსტრია) II ადგილს დასჯერდა. ხოლო თასის გათამაშების ლიდერი ჰ. ვენცელი (ლიჰტენშტეინი) IV ადგილზე გავიდა. მას იტალიელმა ა. ციანიმაც გაასწრო. სამაგიეროდ, ვენცელს მადალი არ ჰყავდა გიგანტურ სლალომში (2.30,37) და მსოფლიო თასის გათამაშებას კვლავ სათავეში უდგას (300 ქულა).

გიგანტურ სლალომში II იყო პელენი — 2.35,39, III — მ. ნადიგი (შვეიცარია) — 2.35,44. ამ ეტაპის შემდეგ მოზერი ვენცელთან თასის გათამაშებაში 44 ქულას აგებს. ძალიან ჩამორჩა ნადიგი, რომელსაც 185 ქულა აქვს.

ვაჟთა შორის სლალომის პირველ ცდაზე დაწინაურდნენ იტალიელი ჰ. გროსი — 1.02,63 და საბჭოთა სპორტსმენი ა. ჟიროვი — 1.02,81, მაგრამ მეორე ცდაში ორივე მეტისმეტად ფრთხილობდა და საბოლოო ჯამში ისინი საპრიზო ადგილების მიღმა დარჩნენ. პირველობა მოიგო ი. სტენმარკმა (შვეცია) — 2.01,18. კარგად გამოვიდა იუგოსლავიელი ს. კრიჟაი, რომელმაც II ადგილი დაიკავა — 2.01,34.

თასის გათამაშებაში სტენმარკმა (160 ქულა) 38 ქულით გაასწრო ვენცელს (შვეიცარია), ხოლო კრიჟაის — 112 ქულა აქვს.

კვლავ თბილისის ტატამზე

7 თებერვალს სპორტის სასახლეში ტატარს აიღებს თბილისის XI საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში. ფაქტიურად ეს იქნება უკანასკნელი დიდი შეჯიბრება მოსკოვის ოლიმპიური თამაშების წინ.

ჩვენს დედაქალაქში იასპარეზებს 15 ქვეყნის გუნდი — იაპონიის, საფრანგეთის, გდრ-ის, გფრ-ის, ჰოლანდიის, იტალიის, ფინეთის, ავსტრიის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის ძიუდოისტები. სსრ კავშირი წარმოდგენილი იქნება ქვეყნის I ნაკრებით, „დინამოს“, ასევე და პროფკავშირთა გუნდებით.

როგორც სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ბ. მაზიაშვილმა გვითხრა, საქართველოს ნაკრებში 18-20 ათლეტი იქნება. თემურ ხუბულურის, თამაზ ნამგალაურის, დავით ბოდაველის, შოთა ხაბარელისა და ბორის გოგიჩაშვილის გარდა (ისინი ეროვნის ნაკრებში არიან მიწვეულნი) მაყურებელი სპორტის სასახლის ტატამზე იხილავს ო. ზუბარაშვილს, დ. ხაბულიანს, დ. კოდანოვს, მ. ალბორიშვილს, ა. წიკლაურს, რ. ხარშილაძეს, მ. ბერუაშვილს. ამ უკანასკნელისთვის ტურნირში ასპარეზობა დებიუტი იქნება. გუნდის მწვრთნელები (ბ. მაზიაშვილი, ა. მარტყოფლიშვილი, გ. პაპიტაშვილი, ჯ. ხათელაშვილი) დიდ იმედებს ამყარებენ ახალგაზრდა თალავანძეზე.

— ეს ტურნირი იმდენად სერიოზულია, რომ შეგნებულად შევიკავებთ თავი მასში ახალბედა ძიუდოისტების მონაწილეობისაგან, — გვითხრა ბ. მაზიაშვილმა. — ვფიქრობ, თითოეულმა მოჭიდავემ ეს უფლება უნდა დაიმსახუროს. მიუხედავად საკმაოდ ანგარიშგასაწევი ტიტულებისა, მაყურებლის როლში გამოვლენ ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის სსრ კავშირის ჩემპიონები — დ. გელაშვილი, ჯ. მჭედლიშვილი, დ. ხუსაინოვი, ო. მარგველანი, დ. ჩალაური, ჯ. მჭედლიანი, ვ. თურმანაული.

სტუმართა გუნდები, მკირე გამონაკლისის გარდა, სრული შემადგენლობით (8-9 კაცი) იასპარეზებენ. რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იაპონელთა ძლიერი კოლექტივი (ძიუდოს ფუძემდებლებმა უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონატზე 4 ოქროს მედალი მოიპოვეს). გარაუდობენ, რომ გუნდის ინტერესებს მძიმე და აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ენდო ან იამასიტო დაიკავებს. თემცა, ყველაფერი დაზუსტდება 6 თებერვალს, როცა პლანეტის უძლიერესი ძიუდოისტები თბილისს ეწვევიან.

• • •

ეს სურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ჯ. ლომაძემ ფალავანთა კლუბში გუშინ გადაიღო. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები უფროსი მწვრთნელის—სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ბიძინა მაზიაშვილის ხელმძღვანელობით ერთ-ერთ უკანასკნელ ვარჯიშს ატარებდა დიდ ტატამზე გასვლის წინ.

● კრივი

საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით

ვილნიუსში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს მოკრივეთა ნაკრები გუნდების მესამე სამატჩო შეხვედრა. ანგარიშით 6:1 გაიმარჯვეს მასპინძლებმა (ამერიკელებს 4 წონით კატეგორიაში არ გამოუყვანიათ მონაწილე).

როგორც საბჭოთა, ასევე ამერიკელი სპეციალისტების აზრით, ყველაზე საინტერესო გამოდგა ევროპის ჩემპიონის, კრასნოდარელი შ. საბიროვისა (48 კგ) და იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონის რ. შენონის ორთაბრძოლა. ქულებით გაიმარჯვა საბჭოთა მოკრივემ. ახალგაზრდა ამერიკელმა ჰ. სმიტმა (51) ასევე ქულებით დაამარცხა ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი, მოსკოველი ა. დუგაროვი და ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

5 დანარჩენ შეხვედრაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა, ამასთან ბოლო 4 ორთაბრძოლა ვადაზე ადრე დამთავრდა. ხერსონელმა გ. სერდიუკმა დაამარცხა ვ. კრისტიანი, ივანოფრანკოვსკელმა ს. მიჩნიკმა — ჯ. რასული, ალმაათელმა ა. ზაროჩინცევმა — მ. გრიგანი, იზმაილელმა გ. რუმიანცევმა — ხ. კრუსა, ვილნიუსელმა ა. იანჩაუსკასმა — ლ. მირფი.

სამი მატჩის საერთო ანგარიშია 19:8 საბჭოთა მოკრივეების სასარგებლოდ.

— მიუხედავად ასეთი შედეგისა, კმაყოფილი ვართ ამ ტურნირით, — პრეს-კონფერენციაზე განაცხადა ამერიკელთა დელეგაციის ხელმძღვანელმა დ. სიმპსონმა. — ჩვენ საბჭოთა კავშირში შეხვედით ძალიან მეგობრებს, რომლებმაც ძალზე გულთბილად მიგვიღეს.

● თავისუფალი ჭიდაობა

ამჯერად ტაშკენტში

აგერ უკვე ორი კვირაა ჩვენს ქვეყანაში იმყოფება აშშ-ს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი.

თბილისის საერთაშორისო ტურნირისა და საქართველოს ნაკრებთან გამართული მატჩის შემდეგ. ამერიკელი. მოჭიდავეები ტაშკენტში შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფალავნებს. ანგარიშით 6:3 გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

82 კგ წონით კატეგორიაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის მონაწილეები — ლოსანჟელესელი დ. შულერი და მინსკელი ა. მარკოვიჩი. ამერიკელმა სპარტაკიადაზე მეორე ადგილი დაიკავა, მისმა მეტოქემ კი — მესამე. ამჯერად მარკოვიჩმა აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა.

— კარგი იქნება თუ კიდევ ერთხელ შევხვდებით მოსკოვში, ოლიმპიადაზე, — თქვა 27 წლის დ. შულერმა, — როგორც ჩემთვის, ასევე სხვა საზღვარგარეთელი და საბჭოთა სპორტსმენებისთვის სპარტაკიადაში მონაწილეობა თავისებური რეპეტიცია იყო ოლიმპიადის წინ. მე იმედს არ



ვკარგავ. სპორტი ხომ ამეგობრებს ადამიანებს და პოლიტიკური მოტივით რაიმე აკრძალვა დაუშვებლად მიმაჩნია...

მსაჯებმა კიდევ ორ მოჭიდავეს მიაკუთვნეს გამარჯვება აშკარა უპირატესობით: დ. მილზმა (52 კგ) დაამარცხა ი. შუგაევი, ნ. პეტოტკომ (68) — დ. ჰემფრი. დ. შულიცესა (74) და ვ. მარტას შეხვედრაში მეტოქეებმა 4-4 ქულა მოაგროვეს. გამარჯვება ამერიკელს მიეკუთვნა.

სხვა ორთაბრძოლების შედეგები ასეთია: რ. დმიტრიევმა (48) დაამარცხა ბ. როსადი, ჯ. კორსომ (57) — ე. აბდურამანოვი, ე. ფატიკოვმა (82) — კ. კენტბელი (ამ წონაში ორი წყვილი ასპარეზობდა), ვ. ბატნიამ (90) — რ. ბეიკერი, მ. მაგომედოვმა (100) — ლ. ბილინბერგი.

● ორჭიდი

კოლჩინი... კოლჩინების შვილი

ბაკურიანში გაიმართა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ორჭიდელთა შეჯიბრება სსრ კავშირის თასზე, რომელსაც უნდა დაესახელებინა საბჭოთა ნაკრების სამი მონაწილე ლენინ-პლესიდის ოლიმპიადისთვის.

შეჯიბრების პირველ დღეს სპორტსმენები 70-მეტრიან ტრამპლინზე ასპარეზობდნენ. ლიდერობა ხელთ იგდო ალექსანდრე მაიოროვმა (გორკი) — 218,7 ქულა (ხტომები 74 და 78 მეტრზე). მეორე შედეგი ჰქონდა სერგეი ორლიანსკის (ნოვოკუზნეცკი) — 213,5 (74,5 და 74,5). მეოთხე — ალექსი ბარანოვს (ლენინგრადი) — 212,5 (74 და 75).

მომდევნო ადგილებზე სპორტსმენი ვიქტორ ანტონოვი (ბაკურიანი) 211,4 (74,5 და 74,5), ლენინგრადელი სერგეი ომელჩენკო — 209,2 (72,5 და 73,5), გორკელი იური ვორონინი — 208,1 (72,5 და 74,5) და ტარტუელი თეოდორე კოლჩინი — 208 (73 და 72).

კვირას ორშიდელები ასპარეზობდნენ სათხილამურო რბოლაში 15 კილომეტრზე. დისტანცია ყველაზე სწრაფად დაფარა კოლჩინმა, რომელსაც წინა დღეს ტრამპლინზე მეშვიდე შედეგი ჰქონდა. ამრიგად, თეოდორე კოლჩინმა (იგი ოლიმპიური ჩემპიონების, სპორტის დამსახურებული ოსტატების ალევტინა და პავლე კოლჩინების შვილია) საპატიო პრიზი და მასთან ერთად ლეიკ-პლესიდში გამგზავრების უფლება მოიპოვა. თეთრ ოლიმპიადაზე საგზურები დაიმსახურეს აგრეთვე სერგეი ომელჩენკომ და იური ვორონინმა.

ტელეფონით „ლელოს“ კორ.

● ძალოსნობა

რეკორდები

ძალაძ ვარნაში მიმდინარე ძალოსანთა ბულგარეთის ჩემპიონატზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა ს. დიმიტროვმა (60 კგ), რომელმაც აიტაცა 130,5 კილოგრამი. ეს შედეგი ნახევარი კილოგრამით ჯობს მისივე თანამემამძღოლის გ. ტოდოროვის მიერ 1976 წელს დამყარებულ მსოფლიო რეკორდს.

67,5 კგ წონით კატეგორიაში 3 მსოფლიო რეკორდი დაამყარა მსოფლიო ჩემპიონმა ი. რუსევმა: ატაცეში 147,5 კგ აჩვენა, შემდეგ დამატებით მეოთხე ცდაზე 188 კგ აჭყა და ორჭიდის ჯამში 335 კგ დააგროვა. ამით მან ყველა თავისი წინანდელი მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა.

ოთხჯერ გააუმჯობესეს საბჭოთა ძალოსნის ი. ვარდანიანის (75 კგ) მსოფლიო რეკორდი ატაცეში. ჯერ 19 წლის ა. ზლატევმა 158 კილოგრამი აიტაცა, შემდეგ ნ. კოლევმა ეს შედეგი 2 კილოგრამით გაუმჯობესა. ყველა ზლატევმა დაიბრუნა რეკორდი, როცა 160,5 კგ აჩვენა და ბოლოს დამატებით ცდაზე კოლევმა 161 კგ დაძლია. ამ წონაში ორჯერ გაუმჯობესდა მსოფლიო რეკორდი ორჭიდშიც. ჯერ კოლევმა აჩვენა 350 კგ (160 + 190), შემდეგ კი ზლატევმა — 352,5 (157,5 + 195). ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. მიტკოვმა მსოფლიო რეკორდი აკვრაში 197 კილოგრამამდე აიყვანა.

ჩვენი ანონსი

ხვალ და ზეგ მძლეოსნობის სასახლეში

გაიმართება 1961-62 წლებში დაბადებულ იუნიორთა ზამთრის საკავშირო პირველობა, რომელშიც სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების 24 გუნდის 500-ზე მეტი მძლეოსანი იასპარეზებს. გუნდებში ვიხილავთ თითქმის ყველა მოძმე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის საუკეთესო ძალებს, რომლებმაც თავიანთი სპორტსაზოგადოებების ნაკრებში დაიმკვიდრეს ადგილები.

ეს ტურნირი ამავე დროს შეარჩევს კანდიდატებს ქვეყნის ნაკრებისთვის, რომელიც 22 თებერვალს აქვე გდრ-დან ჩამოსულ თანატოლებს უნდა შეეჯიბროს.

ბევრმა ათლეტმა, ასეთი ასაკის მიუხედავად, უკვე მოასწრო სახელის მოხვეჭა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში. მათ შორის არიან ევროპის გოგონათა ჩემპიონი 1500 მეტრზე რბენაში ტაგანროგელი ი. ნიკიტინა, ამ პირველობის „ვერცხლისა“ და „ბრინჯაოს“ პრიზიორები. სპრინტერები ნ. ბოჩინა (ლენინგრადი), გ. მიხეევა (ბრიანსკი), ე. მალახოვა (სერპუხოვი). ლ. ტუზნიკოვა (გროდნო), თარჯმორბენლები — ს. ოია (პიარნუ), ნ. სერგეევა (კიევი), ბირთვისმკვრელები ე. აულოვა (კიევი), ს. კასნაუსკასი (მინსკი) და სხვები, რომლებსაც წარმატებით დაუცავთ ქვეყნის ღირსება „მეგობრობის“ საერთაშორისო შეჯიბრებაში, გდრ-ისა და აშშ-ს თანატოლებთან შეხვედრებში.

საკავშირო პირველობაში მოასპარეზეთა შორის არის 8 მძლეოსანი. ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი, რომელთაგან რამდენიმე წელიწადში ახალ მიღწევებს უნდა ველოდეთ.

თბილისელ სპორტის მოყვარულებს საშუალება ექნებათ იხილონ, აგრეთვე საქართველოს მძლეოსნების, სამხტომში ქვეყნის ჭაბუკთა რეკორდსმენის ს. ახვლედიანის, ლ. წინწალაშვილის და სხვათა გამოსვლები. ისინი ქვეყნის ნაკრებში ადგილის დამკვიდრებისთვის იბრძოლებენ.

ერთი სიტყვით, ტურნირი, რომელიც ჩვენს დედაქალაქში პირველად ეწყობა, საინტერესო ბრძოლებს. ახალ მიღწევებს, ახალ სახელებს გვპირდება.

* * *

სურათებზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა **ჯ. კახრამანმ** გუშინ გადაიღო, აღბეჭდილია შეჯიბრებისწინა უკანასკნელი ვარჯიშის მომენტები თბილისის „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლეში.



კვარცხლბეკზე — მხოლოდ თბილისელები

2-3 თებერვალს თბილისის უნივერსიტეტის დარბაზში ჭატარდა სამატჩო შეხვედრა მხატვრულ ტანვარჯიშში საბჭოთა კავშირის 9 უძლიერეს უნივერსიტეტს შორის (შეჯიბრების მთავარი მსაჯი ლანა შეყანწიშვილი). ასეთი შეხვედრები 1965 წლიდან ტარდება. მისი ინიციატორი იყო ლენინგრადის უნივერსიტეტი. თავდაპირველად ერთმანეთს ხვდებოდა მხოლოდ ხუთი უნივერსიტეტი — ლენინგრადის, მოსკოვის, კიევის, ტარტუსა და თბილისის. შემდეგ გუნდების რიცხვი გაიზარდა და შარშან, ტარტუში, უკვე 10 კოლექტივი შეიკრიბა, სადაც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა თბილისის უნივერსიტეტის გუნდმა.

წლევანდელ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ივანოვოს, კიევის, ოდესის, მინსკის, ლენინგრადის, მოსკოვის, ტარტუსა და ალმა-ათის უნივერსიტეტები და მჯიჯნელთა ორი გუნდი: I — ი. გაბაშვილი, ლ. დოლიძე, მ. ხალილოვა, ი. ქემჩუქინა, მ. ნადიბაიძე. II—ქ. კუჭავა, ნ. ფოცხიშვილი, მ. გუნია, ი. ელისეევა, ნ. ჭკუასელი და ვ. გონჩუკოვა.

შეჯიბრების პირველი დღე დაეთმო გურზებითა და სახტუნაოთი ვარჯიშს. აქ ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა ი. გაბაშვილს (9,65), კარგად იასპარეზა ი. ქემჩუქინამ (9,6).

სახტუნაოთი ვარჯიშში პირველი იყო ხალილოვა (9,55), რომელმაც ხუთი მეასედი ქულით გაუსწრო ი. გაბაშვილს. მ. ნადიბაიძის და ლ. დოლიძის ვარჯიში მსაჯებმა 9,25 ქულით შეაფასეს.

პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის ნაკრები იმდენად დაწინაურდა, რომ მისი საბოლოო გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა. ასე, რომ, მეორე დღეს სულ სხვა კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი — როგორი თანმიმდევრობით განაწილდებოდა ადგილები პირად ასპარეზობაში. პირველი ორი ვარჯიშის შემდეგ ლიდერობდნენ: გაბაშვილი (19,15), ხალილოვა (19,1), ქემჩუქინა (18,85), ნადიბაიძე (18,65), კუჭავა (18,6), ფოცხიშვილი (18,3), დოლიძე (18,1). რგოლით ვარჯიშს ლიდერთა განლაგებაში განსაკუთრებული ცვლილებები არ შეუტანია. გაბაშვილი და ქემჩუქინა — 9,9, ხალილოვა და დოლიძე — 9,8. ლენტით ვარჯიში მოიგო ხალილოვამ (10), გაბაშვილმა ისევ 9,9 ქულა დაიმსახურა, ქემჩუქინამ— 9,8. ყველაფერი უკანასკნელ ვარჯიშს უნდა გადაეწყვიტა, ისევ სტაბილური იყო გაბაშვილი (9,85), აი, ხალილოვას კი ხელი მოეცარა, მაგრამ ვერც ქემჩუქინამ მიიღო მაინც და მაინც მაღალი შეფასება და მსოფლიო ჩემპიონი მიუწვდომელი აღმოჩნდა.

გუნდური გამარჯვება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს დარჩა (მწვრთნელი ნ. სალაძე), მეორე იყო ალმა-ათა, მესამე — ლენინგრადი.

ტურნირმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ნაკრების ლიდერებს შესანიშნავი ცვლა ეზრდებათ. ეჭვს გარეშეა, რომ სულ ახლო მომავალში თავიანთ სიტყვას იტყვიან მაია ნადიბაიძე, ქეთინო კუჭავა და ნანა ფოცხიშვილი. საერთოდ, ყველაფრით იგრძნობა, რომ ქართული მხატვრული ტანვარჯიში სწორედ იმ გზას ადგას, რომელიც მას უფრო დიდ გამარჯვებამდე მიიყვანს.

ტექნიკური შედეგები:

გურზები: გაბაშვილი (9,65), ი. ქემჩუქინა (9,6), მ. ხალილოვა (9,55).

სახტუნაო: მ. ხალილოვა (9,55), ი. გაბაშვილი (9,5), მ. ნადიბაიძე (9,25) და ლ. დოლიძე (9,25).

უსაგნო: ი. გაბაშვილი (9,85), ლ. დოლიძე (9,5), მ. ნადიბაიძე (9,4).

რგოლი: ი. გაბაშვილი (9,9) და ი. ქემჩუქინა (9,9), მ. ხალილოვა (9,8) და ლ. დოლიძე (9,8).

ლენტი : მ. ხალილოვა (10), ი. გაბაშვილი (9,9), ი. ქემჩუქინა (9,8).

მრავალჭიდი: I — ი. გაბაშვილი (48,8), II — მ. ხალილოვა (47,9), III — ი. ქემჩუქინა (47,8).

გუნდური: თბილისი, ალმა-ათა, ლენინგრადი.

მ. ჩალათაშვილი.

* * *



ხურათებზე: სამატჩო შეხვედრაში გამარჯვებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი (მარცხნიდან): მ. ხალილოვა, დ. დოლიძე, ი. ქემჩუქინა, მ. ნადიბაიძე, ი. გაბაშვილი; პირად ასპარეზობაში გამარჯვებული ი. გაბაშვილი უსაგნოდ ვარჯიშის შესრულებისას.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

● ფეხბურთი

ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი

კოლუმბიის ქალაქებში გრძელდება სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ოლიმპიელ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შესარჩევი ტურნირი. არგენტინელებმა ქ. კალიში ანგარიშით 4:1 დაამარცხეს პერუს ნაკრები და 6 ქულით 3 ტურის შემდეგ სათავეში ჩაუდგნენ გათამაშების ცხრილს.

ქულით ნაკლები აქვთ ბრაზილიელებს, რომლებმაც, ამას გარდა, უკვე 4 მატჩი ჩაატარეს. 4-4 ქულა დააგროვეს კოლუმბიელებმა (3 თამაში) და ვენესუელის გუნდმა (4 თამაში). ვენესუელისა და ბოლივიის ფეხბურთელთა შეხვედრა დამთავრდა პირველთა გამარჯვებით — 5:1.

ტურნირი გაგრძელდება 15 თებერვლამდე.

მოსკოვის „დინამოს“ მეტოქის საქმეები

პარიზი. მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა მეტოქემ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში — „ნანტმა“ თავის მინდორზე საფრანგეთის ეროვნული ჩემპიონატის მორიგი მატჩი მოუგო „ბორდოს“ — 4:1 და გათამაშების ცხრილში II ადგილზე გადაინაცვლა.

24 ტურის შემდეგ „ნანტს“ 35 ქულა აქვს და 2 ქულით წაუსწრია ლიდერს — „მონაკოს“.

შავი ზღვის სანაპიროზე

ლესელიძე. შავი ზღვის სანაპიროზე იმყოფებიან ფეხბურთელთა გუნდები, რომლებიც ემზადებიან მომავალი სეზონისთვის. ამას წინათ ამხანაგური შეხვედრა გაიმართა მოსკოვის „ტორპედოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივსა და საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის გუნდს შორის.

სტუდენტები წარმატებით იცავდნენ თავს ბოლო წუთებამდე. მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლეს 2 ბურთის გატანა ჟუპიკოვმა და კრუგლოვმა.

ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელები ავსტრალიაში

ავსტრალიაში მესამე ამხანაგური მატჩი გამართეს ევროპის ჩემპიონებმა ფეხბურთში — ჩეხოსლოვაკიელებმა, რომლებიც თავიანთი ტიტულის დასაცავად ემზადებიან იტალიის მომავალ ტურნირში.

ჩეხოსლოვაკიელებმა სიდნეიში დიდი ანგარიშით დაამარცხეს ავსტრალიის ნაკრები — 5:0 (0:0). 2 ბურთი გაიტანა მასნიმ, თითო — ჰაიდუშეკმა, კროუბამ და კოზაკმა.

„ლივერპულმა“ სძლია „ნოტინჰემ ფორესტს“

ინგლისის საფეხბურთო თასის IV წრის ცენტრალური მატჩი გაიმართა ნოტინჰემში, სადაც ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელმა „ნოტინჰემ ფორესტმა“ მიიღო ინგლისის ჩემპიონი — „ლივერპული“. ამ მინდორზე მასპინძლებმა ჩემპიონატის პირველ წრეში სძლიეს „ლივერპულს“, მათვე მოიგეს აქ მატჩი ინგლისის ლიგის თასის მეოთხედფინალში, ახლა კი საქმე სხვანაირად წარიმართა.

„ლივერპულს“ მთელი მატჩის მანძილზე ჰქონდა უპირატესობა და მასპინძლები განადგურებისგან მხოლოდ ბრწყინვალედ მოთამაშე მეკარე შილტონმა იხსნა. 32-ე წუთზე დალგლიშმა გაიტანა პირველი გოლი, მატჩის მიწურულს 11-მეტრიანი დარტყმით — მაკდერმოტმა და „ლივერპულმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 2:0.

სხვა მატჩები: „არსენალი“ — „ბრაიტონ ალბიონი“ 2:0, „ბირმინჰემ სიტი“ — „მიდლსბრო“ 2:1, „ბლეკბერნ როვერსი“ — „კოვენტრი სიტი“ 1:0, „ბოლტონ უონდერერსი“ — „ჰალიფაქსი“ 2:0, „ბრისტოლ სიტი“ — „იფსვიჩ თაუნი“ 1:2, „კემბრიჯი“ — „ასტონ ვილა“ — 1:1, „კარლსლი“ — „ვრექსჰემი“ 0:0, „ჩესტერი“ — „მარლო�dლ“ 2:0, „ევერტონი“ — „ვიგანი“ 3:0, „ორიენტი“ — „ვესტჰემ იუნაიტედი“ 2:3, „ბერი“ — „ბერნლი“ 1:0, „ლუტონ“ — „ნორიჩი“ 4:1, „შეფილდი“ — „ტოტენჰემ ჰოტსპერი“ 0:0, „უოტფორდი“ — „ჰარლოუ“ 4:3, „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ — „ნორვიჩ სიტი“ 1:1.

პოლონელთა გადაწყვეტილება

პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ნაკრებიდან გამოიყვანა მისი წამყვანი მოთამაშეები ბონეკი, ტერლეცკი, ლატო და შიმანოვსკი ჟურნალისტებისადმი არაკორექტული მოპყრობისთვის.

რამდენიმე ჟურნალისტი ახლდა ნაკრებს ჰოლანდიელებთან შეხვედრისას ევროპის პირველობაზე. ზემოთ ჩამოთვლილმა ფეხბურთელებმა ჯერ ხელი შეუშალეს ჟურნალისტებს ადგილი დაეკავებინათ გუნდისთვის გამოყოფილ ავტობუსში, შემდეგ კი ნება არ მისცეს ღამე გაეთიათ ნაკრებისთვის განკუთვნილ სასტუმროში, და, აი, შედეგი...

უკვე 7500

ფეხბურთში მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის ორგანიზატორებმა უკვე მიიღეს 7500 განაცხადი ჟურნალისტებისაგან. ჩემპიონატის ფინანსირების მიზნით გამოშვებულია 3 ლატარია, მუშაობს ფეხბურთის 2 ტოტალიზატორი, მოჭრეს სპეციალური ლოთონის ფული.

● მძლეოსნობა

მხტომელის დიდოსტატური შედეგი

ვილნიუსის მძლეოსნურ მანეჟში ლიტვის ზამთრის ჩემპიონატზე ერთბაშად 25 სმ-ით გააუმჯობესა რესპუბლიკის რეკორდი და მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა 25 წლის ადგილობრივმა სპორტსმენმა ა. საბონისმა — 806 სმ. მისი ნახტომების სერია ასე გამოიყურება: 792, 798, 806, 794.

საბონისი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ი. გადოვიჩის აღსაზრდელია. სხვათა შორის, გადოვიჩი სიგრძეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენის ვ. ბარდაუსკენეს აღზრდელიცაა.

ქალთა შორის გაიმარჯვა კაუნასელმა ვეტერანმა მ. ბუტკენეტრეინიტემ — 643 სმ. ერთი სანტიმეტრი წაგო მასთან 19 წლის ნიჟიერმა ვილნიუსელმა სტუდენტმა ნ. ბლუშკიტემ. უკონკურსოდ მოასპარეზე ტალინელმა ტ. ნახაპილმა — 224 სმ სიმაღლე დაძლია.

ამჯერად ლოს-ანჟელესში

საბჭოთა სპორტსმენები ტურნეს აგრძელებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამჯერად მათ იასპარეზეს ლოს-ანჟელესის ერთ-ერთ დიდ დარბაზში „ფორუმში“ გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელსაც ყოველწლიურად აწყობს გაზეთი „ლოს-ანჟელეს ტაიმსი“.

550 იარდზე რბენაში კვლავ იმარჯვა ნ. ჩერნეცკიმ, რომელმაც უკანასკნელ მეტრებზე ჩამოიტოვა ფრეზერი — 57,09.60 იარდზე თარჯრბენში დ. კუკერმა და ა. პროკოფიევმა ერთნაირი დრო (7,18 წამი) აჩვენეს. მესამე ადგილზეა ა. პუჩკოვი — 7,20.

ხუთჭიდელმა ე. სმირნოვამ ორჯერ აიღო სტარტი. 60 იარდზე თარჯრბენში იგი II იყო — 7,78 (წინასწარ გარბენში დღის საუკეთესო შედეგი აჩვენა ტ. ანისიმოვამ — 7,63, მაგრამ იგი ფინალურ შეჯიბრებაში დისტანციიდან გამოვიდა). სმირნოვა III იყო სიგრძეზე ხტომაში — 618 სმ.

სამხტომში რ. ლაივერსმა ამერიკის ზამთრის მიღწევა დაამყარა — ზუსტად 17 მეტრზე გადახტა.

ალბუკერკეს სტარტები

სან-ფრანცისკო. საბჭოთა მძლეოსნები წარმატებით აგრძელებენ ასპარეზობას აშშ-ში საერთაშორისო შეჯიბრებაში. ქალაქ ალბუკერკეს (ნიუ-მექსის შტატი) სპორტდარბაზში 60 იარდზე თარჯრბენში გაიმარჯვეს ტ. ანისიმოვამ (7,63) და ა. პუჩკოვმა (7,28).

440 იარდზე გარბენები მოიგეს: ქალთაგან ამერიკელმა გ. გარდნერმა (55,04), ვაჟებში — ტრინიდადელმა მ. სოლომონმა (48,41).

● ტრამპლინიდან ხტომა

თასი — იური ივანოვს

ნიჟნი ტაგილში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშება 90-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში. პირველი ადგილი პეტროზავოდსკელმა იური ივანოვმა მოიპოვა. მეორე იყო ურალსკელი სერგეი კომაროვი, მესამე —ლენინგრადელი სერგეი ‍ საიჩიკი.

● ჩოგბურთი

„სამეფო თასი“ — ჩეხოსლოვაკიელებს

ჩეხოსლოვაკიელმა ჩოგბურთელებმა ზედიზედ მეორედ მოიპოვეს ევროპის ზამთრის გუნდური პრიზი — „სამეფო თასი“. ფინალურ მატჩებში მათ ორჯერ დაამარცხეს უნგრელები (ბოლო შეხვედრაში დებრეცენში ჩეხოსლოვაკიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1).

ამ გათამაშებაში მესამე ადგილისათვის იბრძოდნენ სსრ კავშირისა და გფრ-ის გუნდები, რომლებიც კვირას ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვში, ცსკა-ს კორტებზე (პირველი მატჩი ზინდელფინგენში ჩვენებმა წააგეს 1:2).

საპასუხო შეხვედრაში ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. ახალგაზრდა ლვოველმა იგორ პილიპჩუკმა წააგო როლფ გერინგთან — 6:7, 3:6. ამის შემდეგ მოსკოველმა ვადიმ ბორისოვმა მოუგო ული პინერს (6:1, 6:4) და გაათანაბრა ანგარიში.

ახლა ყველაფერს წყვილთა შეხვედრა წყვეტდა. საბჭოთა დუეტმა თეიმურაზ კაკულიამ და ბორისოვმა პირველი პარტია ადვილად მოუგეს გერინგსა და კარლ მაილერს — 6:1, მაგრამ შემდეგ დამარცხდნენ — 2:6, 3:6. ჩვენი გუნდი საპრიზო ადგილის მიღმა დარჩა.

„ლელოს“ მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 7 თებერვალს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მახობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 02042